რელიგიურობა როგორც ფსიქოლოგიური კეთილდღეობის, თვითეფექტურობისა და დეპრესიის პრედიქტორი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სალომე ლუხოშვილი

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირინა ვარდანაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

15.06.2022

აბსტრაქტი

რელიგიურობა არის თემა, რომელიც არასდროს დაკარგავს აქტუალობას. უამრავი კვლევა არსებობს, სადაც რელიგიურობა განხილულია სხვადასხვა ცვლადებთან მიმართებით. უმეტეს კვლევაში დასტურდება რელიგიურობის პოზიტიური გავლენა ადამიანზე, თუმცა არსებობს კვლევები, რომლებიც რელიგიურობას განიხილავენ როგორც უარყოფით პრედიქტორს. წინამდებარე ლიტერატურაში წარმოდგენილია ორივე ტიპის კვლევები: ერთი მხრივ, სადაც დასტურდება რელიგიის დადებითი გავლენა ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე, და მეორე მხრივ, როდესაც სხვა კვლევა ადასტურებს რელიგიურობას როგორც დეპრესიის დასაწყის რისკ-ფაქტორს. წინამდებარე კვლევაში განხილულია რელიგიურობის ხუთი განზომილება და თითოეული მათგანის კავშირი თვითეფექტურობას, დეპრესიასა და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე. აღსანიშნავია, რომ კვლევაში მიღებული ცალკეული ცვლადების მონაცემები დადებითია. მაგალითად, დაფიქსირდა ფსიქოლოგიური კეთილდღეობის მაღალი მაჩვენებელი: 40.11 (მაქსიმალური 56 ქულიდან), დეპრესიის სიმპტომატიკის დაბალი კოეფიციენტი: 9.06 (მაქსიმალური 51 ქულიდან). თუმცა, არ დადასტურდა პრედიქტორი ცვლადის რელიგიურობის განზომილებების სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი დამოკიდებულ ცვლადებთან. ასევე, კვლევაში განვიხილავ დეპრესიის სიმპტომატიკის მაჩვენებლების სქესთა შორის განსხვავებას. კვლევის მიღწევაა სხვა მსგავს კვლევებთან შედარებით განსხვავებული მონაცემების მიღება, რამაც გააჩინა კიდევ დამატებითი საკვლევი კითხვები და საკითხები, რაც საფუძველს ჩაუყრის შემდგომ კვლევებს.

Abstract

Religiosity is a topic that will never lose its relevance. There are numerous studies where religiosity is discussed in relation to various variables. Most studies confirm the positive impact of religiosity on a person, however there are studies that view religiosity as a negative predictor. Both types of studies have been presented in the present literature: on the one hand, which confirms the positive impact of religion on psychological well-being, and on the other hand, when other studies confirm religiosity as a risk factor for the onset of depression. The present study discusses the five dimensions of religiosity and the relationship of each to self-efficacy, depression, and psychological well-being. It should be noted that the data of the individual variables obtained in the study are positive. For example, a high rate of psychological well-being was observed: 40.11 (out of a maximum of 56 points), a low rate of depressive symptoms: 9.06 (out of a maximum of 51 points). However, a statistically significant association of the religiosity variables of the predictor variable with the dependent variables was not confirmed. Also, in the study I discussed the difference in depressive symptom rates between the sexes. The achievement of the study is to obtain data that are different from other similar studies, which has given rise to further research questions and issues that will lay the groundwork for further studies.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გაწეული განსაკუთრებული მხარდაჭერისა და დახმარებისათვის მადლობას ვუხდი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელ ირინა ვარდანაშვილს. მისი თანადგომისა და რჩევების გარეშე გამიჭირდებოდა ნაშრომის შესრულება. მისი რეკომენდაციები მაძლევდა საშუალებას სწორი მიმართულებით წარმემართა კვლევა.

ასევე, მადლობას ვუხდი სამაგისტრო სემინარის ხელმძღვანელ ნინო ჯავახიშვილს, რომელმაც ნაშრომზე მუშაობის საწყის ეტაპზე მომცა მნიშვნელოვანი რჩევები და მიმართულება. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ მარინე ჯაფარიძეს მინდა დიდი მადლობა გადავუხადო, რომლის მხარდაჭერა განსაკუთრებით მამოტივირებელი გახდა ნაშრომზე მუშაობის პროცესში.

კვლევის შესრულება შეუძლებელი იქნებოდა რესპოდენტების გარეშე, თითოეულ მონაწილეს მადლობას ვუხდი ჩართულობისა და დათმობილი დროისთვის.